

ଲେଖକ



ჯეპ კერუაკი

დჰარმის  
მაწანწალები

ოლეგინი  
გადამისა

ჯეპ კერუაკი  
დჰარმის მანანობლები

Jack Kerouac  
THE DHARMA BUMS

მთარგმნელი მაია გოგოლაძე

© 1958, Jack Kerouac  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2014, 2025  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-909-5

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

ეძღვნება პან შანს



# I

1955 წლის გვიანი სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს, შუაფ-ლისას, ადგილობრივ სატვირთო მატარებელს შევახტი, ლია ვაგონის ძირზე გავწექი, ზურგჩანთა თავქვეშ ამოვიდე და ფეხი ფეხზე გადავიდე, მოხერხებულად მოვეწყვე და ღრუბლებს ავხედე, მატარებელი ჩრდილოეთისკენ მიქროდა, სანტა-ბარბარასკენ. ლამის გათევას სანტა-ბარბარას პლაჟზე ვაპირებდი, შემდეგ კი დილის მატარებელს, რეგიონულ ექსპრესს უნდა გავყოლოდი სან-ლუის-ობისპომდე ან სალამოს პირველი კლასის სატვირთო მატარებელს – პირდაპირ სან-ფრანცისკომდე. როცა ჩემი მატარებელი გვერდითა ლიანდაგზე გადავიდა, რომ მეორე სატვირთოსთვის გზა დაეთმო – უკვე სადღაც კამარილოსთან ვიყავით, სადაც ჩარლი პარკერი ჭკუიდან შეიშალა, შემდეგ კი იქვე მცურნალობდა – ჩემს ვაგონზე ბებერი მაწანწალა ამოძრა, ჩია ტანის, პატარა და ხმელი. გაოცებულმა შემომხედა, შემდეგ უსიტყვოდ მოეწყო ლია ვაგონის მეორე ბოლოში, იატაკზე დაწვა, პირით ჩემკენ და თავქვეშ თავისი პატარა, გაქექილი აბგა ამოიდო. მეორე სატვირთო მატარებელმა გრუხუნით ჩაუქროლა მთავარ ბაქანს და აღმოსავლეთისკენ გაქანდა. საყვირის ხმა გაისმა – გასვლის ნიშანი მოგვცეს – და ჩვენც დავიძარით. აცივდა, ქარმა ზღვიდან მორეკილი ნისლის ნაფლეთები მიმოფანტა დაბლობის თბილ მინდვრებზე, სანაპიროს გასწვრივ. რადგან ცივ რეინის იატაკზე მოკუნტულები ვერაფრით

გავთბით, მე და პატარა მანანნალა წამოვხტით და ვაგონის ჩვენ-ჩვენს კუთხეში წინ და უკან სიარულს, ხტუნვას და ხელების ქნევას მოვყევით. სარკინიგზო კვანძის გარშემო გაშენებულ რომელიღაც ქალაქთან ჩვენი მატარებელი ისევ გადაიყვანეს სათადარიგო რელ-სებზე. მაშინ მივხვდი, რომ ასეთ ნისლსა და სიცივეში ტოკაური დვინის გარეშე სანტა-ბარბარამდე ვერ ჩავალნევდი.

- მიხედავ ჩემს ზურგჩანთას, სანამ დასალევს მოვიტან?
- ეგ რა საკითხავია?

ვაგონის კიდეს გადავახტი, გადავევეთე 101-ე ავტომაგისტრალი, რომლის მეორე მხარესაც მაღაზია იყო, და ლვინის გარდა პური და კანფეტები ვიყიდე. სირბილით დაებრუნდი უკან, ჩემს სატვირთო მატარებელთან, რომლის გასვლამდეც კიდევ თხუთმეტი წუთი რჩებოდა. თბილოდა და მზეც ანათებდა, მაგრამ უკვე საღამოვდებოდა და მალე აცივდებოდა. მანანნალა თავის კუთხეში ფეხებგადაჯვარედინებული იჯდა და თავის მწირ საგზალს – თევზის კონსერვს – მიირთმევდა. შემეცოდა, მივედი და ვუთხარი:

- არ გინდა, გათბე? ლვინო დალიე... ყველი და პურიც მაქვს, შეატანე შენს სარდინებს.

– მინდა. – ჩუმი, წყნარი, მკერდში ლრმად ჩამალული ხმით მითხრა, ისე ლაპარაკობდა, თითქოს ეშინოდა ან არ უნდოდა, რომ შეემჩნიათ. ყველი სამი დღის წინ მეხიკოში ვიყიდე, სანამ იაფფა-სიანი ავტობუსის რეისით მთელ 2000 მილს გამოვივლიდი ელ-პასოს საზღვრამდე ზაკატეკასის, დიურანგოსა და ჩიუაუას გავლით. მანანნალამ ყველი და პური შეჭამა, ლვინო დალია, ნასიამოვნები და მადლიერი იყო. გამიხარდა, ალმასის სუტრას სტრიქონი გამახსენდა: „ჰემენი სიკეთე და ნუ დაეძებ ქველმოქმედებას, რადგან ქველმოქმედება სიტყვებია ცარიელი“. მაშინ თავგამოდებული ბუდისტი ვიყავი და გულმოდგინედ ალვასრულებდი ყველაფერს, რაც ჩემი მრნამსის მსახურებად მიმაჩნდა. შემდეგ თვალთმაქცობა შემეპარა და ფუჭი ლაყბობა დამჩემდა, დავიღალე და ცინიკოსი გავხდი, რადგან დავბერდი და ყველაფერი მომბეზრდა... მაგრამ მაშინ გულწრფელად მჯეროდა სიკეთის, სიქველის, სათნოების,

მორჩილების, სიბეჯითის, სიმშვიდის და წონასწორობის, სიბრძნის და ექსტაზის. თავი თანამედროვე სამოსში გამოწყობილი ძველი დროის ბჟიუ მეგონა, ბუდისტური მონასტრიდან სამათხოვროდ გამოსული ბერი (ჩემი მარშრუტი გიგანტური სამკუთხედის ფერ-დებზე გადიოდა – ნიუ-იორქს, მეხიკოსა და სან-ფრანცისკოს შორის). ჭეშმარიტი არსის, ანუ დჰარმის ბორბლის მობრუნება მენადა, ჯილდოდ – მღვიძარე ბუდას მომავალი და სამოთხეში გმირად დამკვიდრება. ჯეფი რაიდერს ჯერ არ ვიცნობდი, მასთან შეხვედრა ნინ მქონდა – შემდეგ კვირას – და დჰარმის მანანნალებზეც არა-ფერი მსმენოდა, თუმცა თავად სწორუპოვარი დჰარმის მანანნალა ვიყავი და საკუთარ თავს მოხეტიალე მომლოცველად მივიჩნევდი. ვაგონს შემოკედლებულმა მანანნალამ ჩემი რწმენა გაამყარა. და-ლეულმა ღვინომ გაათბო, ალაპარაკდა და ბოლოს აბგიდან რა-ლაც ქალალდის ნაგლეჯი ამოაცურა – წმინდა ტერეზას ლოცვით, რომელშიც წმინდანი წინასწარმეტყველებდა, რომ გარდაცვალების შემდეგ დედამიწაზე ვარდების წვიმად დაბრუნდებოდა... დაბრუნ-დებოდა სამუდამოდ... ყოველი სულიერისთვის.

- ეს საიდან გაქვს? – ვკითხე.
- რამდენიმე წლის წინ ბიბლიოთეკაში უურნალიდან ამოვჭერი, ლოს-ანჯელესში. მას შემდეგ თან დამაქვს.
- და სატვირთო ვაგონებში კითხულობ?
- თითქმის ყოველდღე. – მანანნალა სიტყვაძუნწი იყო და მეტი არაფერი უთქვამს წმინდა ტერეზაზე, არც საკუთარ რწმენასა და პირად ცხოვრებაზე. ცხოვრობენ თავისთვის ასეთი უწყინარი, პატარა მანანნალები, რომელთაც არათუ ცენტრალურ ქუჩაზე, სკიდ-როუზე, ღარიბთა და უსახლკაროთა უბანშიც კი არავინ აქცევს ყურადღებას. და თუ პოლიციელი აუხირდა და გამოედევნა, მანანნალა გაიქცევა და მიიმაღლება; რეინიგზის პატრული ვერასდროს შენიშნავს მას – ბალახში ჩამალულს, სიბნელეს შეფარებულს, ვერ მოჰკრავს თვალს, როგორ შეახტება პატარა მანანნალა სატვირთო მატარებლის ვაგონს.

როცა ვუთხარი, რომ ხვალ ღამით „ზიპერზე“ – პირველი კლასის სატვირთო მატარებელზე – ვაპირებდი გადაჯდომას, მითხრა:

- ალბათ „დამის აჩრდილს“ გულისხმობ.
  - „ზიპერს“ ასე ეძახით?
  - როგორც ჩანს, ამ რკინიგზაზე გიმუშავია.
  - კონდუქტორი ვიყავი.
  - მანანნალები „დამის აჩრდილს“ ვეძახით. ლოს-ანჯელესში თუ შეახტები, დილამდე დაიმალები, ვერავინ დაგინახავს, სანამ სან-ფრანცისკოში არ ჩახვალ. თან რა ჩქარია, მიფრინავს – 80 მილი საათში, თუ არსად შეანელა სვლა.
  - ჰო... მაგრამ ლამით ძალიან ცივა სანაპიროზე, გავიოტადან ჩრდილოეთით... და სერფს რომ ჩაუქროლებს.
  - სერფს ჩაუკლის, მართალია, შემდეგ მთებია – მარგარიტა-დან სამხრეთით.
  - ეჭ, მარგარიტა... ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიმგზავრია „დამის აჩრდილით“.
  - რამდენი წელია, სახლში არ ყოფილხარ?
  - ვინ მოთვლის. ისე ოპაიოდან ვარ.
- მატარებელი ისევ დაიძრა, ისევ დაუბერა ცივმა ქარმა, ნისლი ჩამოწვა. მომდევნო საათნახევარი იმის ცდაში გავატარეთ, რომ როგორმე არ გავყინულიყავით. მე ხან იატაკზე მოკუნტული ვმედიტირებდი, რომ სითბო – ჭეშმარიტი ღვთიური სითბო – გამომეხმო და სიცივე დამეთრგუნა, ხან წამოვხტებოდი, ხელ-ფეხს ვიქენებდი და ვმღეროდი. პატარა მანანნალა კი ვაგონის ძირზე იწვა მწარე ფიქრებში ჩაფლული და მოთმინებით უძლებდა სიცივეს. კბილს კბილზე ვაცემინებდი, ტუჩები გამილურჯდა. ბნელდებოდა, როცა სანტა-ბარბარას მთების ნაცნობი კონტურები დავინახეთ და შვებით ამოვისუნთქეთ. მალე მატარებელი გაჩერდებოდა და გავთხებოდით ლიანდაგებზე ჩამოწოლილ თბილ, ვარსკვლავებიან ლამეში.

გზაჯვარედინზე ვაგონიდან ჩამოვხტი და წმინდა ტერეზას პატარა მანანნალას დავემშვიდობებ. ჩემი საბნებიანად ლამის გასათევად პლაუისკენ გავწიე, კლდის ძირისკენ, რომელიც გზიდან მოშორებით იყო. იქ პოლიცია ვერ მომაგნებდა, რომ დავეჭირე და წავეთრიე.

დიდი კოცონის ნაკვერჩხლებზე ახლადმოქრილ, წამახულ ტოტებზე წამოცმულ სოსისებს ვწვავდი, ლობიოსა და ყველიანი მაკარონის ქილებს წითლად ავარვარებულ ნაკვერჩხლებში ვათბობდი, იაფუა-სიან ღვინოს ვსვამდი და ვტკბებოდი, ვზეიმობდი ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო ღამეს. წყალში შევტოპე, ჩავჯექი, გავიმართე და ცას მივაშტერდი – ავალოკიტეშვარას სამყაროს, ათი საოცრების სამყაროს, სიბნელითა და ვარსკვლავებით სავსე სამეფოს, და ვთქვი: „ხედავ, რეი, სულ ცოტალა დარჩა, სულ რამდენიმე მილი, ყველაფე-რი გამოგივა“. რა ბედნიერება! ტრუსის ამარა, ფეხშიშველი, თმაა-ბურძგნილი ვზივარ კოცონთან წითლად აალებულ ღამეში – ვმლერი, ღვინოს ვწრუბავ, ვიფურთხები, დავხტი, დავრბივარ – ცხოვრებაც ეს არის: თავისუფლება და მარტოობა პლაჟის რბილ ქვიშაში, იქვე გაწოლილი ზღვა ფშვინავს, თავს ზემოთ – ქალწულებრივი, თბილად მოციმციმე ვარსკვლავები ბჟუტავენ და შორეულ წყლებში, ზღვის მშვიდ მუცელში ირეკლებიან. თუ ქილები ისე გაცხელდა, რომ ნაკ-ვერჩხლებიდან შიშველი ხელით ვერ ამოვიდებ, რკინიგზელის ძვე-ლი ხელთათმანებიც ხომ ამისთვის მაქვს. სანამ საჭმელი გაცივდე-ბა, სიამოვნებით ვწრუბავ ღვინოს, საკუთარ ფიქრებს ადევნებული. ფეხმორთხმული ვზივარ ქვიშაში და ჩემს ცხოვრებაზე ვფიქრობ. აი, ვცხოვრობ, მაგრამ რისთვის? „რა მელოდება წინ?“ – ის იყო გავიფიქრე, რომ უცებ ძალიან მოშშივდა, ღვინომ მადა გამიღვიძა. რა გაეწყობოდა, სოსისებს დავაცხერი, პირდაპირ ჯოხიდან ვჭამდი, ხრუმ-ხრუმ, ქილებიც მადისალმძვრელად გამოიყურებოდნენ. კოვ-ზი მოვიმარჯვე, ჩემი სამგზავრო საჭურველი, და ქილებს შევუტიე, ლობიოს ვჭამდი და ქილაში ღორის ხორცის ცხიმიან ნაჭრებს ვეძებ-დი, შემდეგ მეორე ქილას მივუბრუნდი – მაკარონს ცხელი და მნა-რე სოუსით. ალბათ ქვიშის ნამცეცებიც შემყვა. ვფიქრობდი: „საინ-ტერესოა, რამდენი ქვიშის ნამცეცია ამ პლაჟზე? ალბათ იმდენი, რამდენი ვარსკვლავიც ცაზე (ხრუმ-ხრუმ)... და თუ ასეა, რამდენ ადამიანს, არა, რამდენ ცოცხალ არსებას უცხოვრია დედამიწაზე უსასრულო დროის ამ მცირე მონაკვეთში? ოპ, რა მოთვლის, ქვიშის ყოველი ნამცეცი რომ გადათვალო ამ პლაჟზე და ცაზე აბრჭყვიალე-

ბულ თითოეულ ვარსკვლავზე იმ ათი ათასი სამყაროდან, რამდენი გამოვა? ვინ იცის... ელექტრონული გამომთვლელი ტექნიკაც ვერ გამოითვლის, ვერც ბეროუზის გამომთვლელი მანქანა... არა, ძმებო, არ ვიცი, რამდენი იქნება (ლვინო მოვსვი), არ ვიცი, ალბათ რამდენ-ჯერმე ტრილიონ სექსტილიონი, გამრავლებული უამრავ, ურიცხვ, უთვალავ ვარდზე, რომლებსაც წმინდა ტერეზა და ის ხუმარა, საყვარელი მოხუცი ახლა ზეციდან გაყრიან თავზე... და კიდევ შროშანებზე“.

ჭამა რომ დავამთავრე, ტუჩები წითელი ბენდენით მოვიწმინდე, ჭურჭელი ზღვის მარილიან წყალში სილით გავრეცხე, გავიარ-გა-მოვიარე, შემდეგ გავამშრალე და შევინახე, ძველი კოვზი მარილით გაულენთილ ზურგჩანთაში ჩავდე, საბანში გავეხვიე და დასაძინებლად მოვემზადე – ერთი კარგი გამოძინება ნამდვილად დავიმსახურე. შუალამისას კი უცებ მელვიძება: „რა ხდება, სად ვარ, ვინ არიან ეს გოგონები, კალათბურთს რომ თამაშობენ ჩემი ცხოვრების ძველ სახლში, ხანძარია, ვიწვით? „ეს მხოლოდ მოქცევის შრიალია ჩემს სასთუმალთან, ტალღები ეპარებიან ქვიშაში გაშლილ ჩემს სანოლს. „გავხდები ნიუარასავით ბებერი და მყარი“. ვიძინებ, მესიზმრება, რომ სუნთქვაში სამი ნაჭერი პური გავხარჯე... ო, რა საცოდავია ადამიანის გონება, ქვიშაში ჩაკარგულა მარტოსული კაცი, ღმერთი კი – მომეჩვენა, რომ ის იღიმება – ყურადღებით დაჰყურებს ზემოდან. დამესიზმრა ჩვენი ძველი სახლი ახალ ინგლისში, დამესიზმრა, რომ ჩემი ფისოები ამდევნებიან, უნდათ, რომ ჩემთან ერთად გაიარონ ათასი მილი ამერიკის ერთი ნაპირიდან მეორემდე, დედაჩემს ჯვალოს ზურგჩანთა მოუკიდებია, მამაჩემი ასდევნებია მატარებლის მირაჟს, რომელიც არსად ჩერდება, რომელსაც ვერავინ დასწევია. ნაცრისფერ გარიურაუზე გამეღვიძა, ავქშუტუნდი (რადგან დავინახე, რომ ჰორიზონტი შეცვლილიყო... თითქოს სცენის მუშებმა მათ რეალურობაში ჩემს დასარწმუნებლად ნაჩეარევად დაბრუნეს დეკორაციები თავის ადგილზე); მეორე გვერდზე გადავბრუნდი და ისევ დავიძინე. „სულერთია“, – ჩამესმა სიცარიელეში ჩემი ხმა, რომელიც ასე სულის შემძვრელია სიზმარში.

## 2

წმინდა ტერეზას პატარა მანანნალა პირველი იყო დჰპარმის ჭეშმარიტ მანანნალათაგან, რომელსაც მე გადავეყარე. მეორე დჰპარმის ნომერი პირველი მანანნალა აღმოჩნდა – ჯეფი რაიდერი, რომელმაც თავად გამოიგონა ეს გამოთქმა. ჯეფი რაიდერმა ბავშვობა აღმოსავლეთ ორეგონში გაატარა, ხის მორებისგან შეკრულ ქოხში, მამასთან, დედასთან და დასთან ერთად. ასე იზრდებოდა – ველური, ტყის კაცი, ფერმერი, ტყისმცველი, ნადირთა ცხოვრებითა და ინდიელთა სიბრძნით დაინტერესებული. როცა, ბოლოს და ბოლოს, კოლეჯში მოხვდა, თავდაპირველად ანთროპოლოგიის, შემდეგ კი ინდიელთა მითოლოგიის შესწავლა უნდოდა. ბოლოს ჩინური და იაპონური ისწავლა, აღმოსავლეთით დაინტერესდა და ასე აღმოაჩინა დჰპარმის ნეტარი მანანნალები – ჩინეთისა და იაპონიის ძენის შეშლილთა საძმო. თანაც, როგორც მოსალოდნელი იყო ჩრდილო-აღმოსავლეთში დაბადებული და გაზრდილი, იდეალიზმისკენ მიდრეკილი ბიჭისგან, პროფესიულული სულისკვეთების ძველმოდურმა ანარქიზმმა მოხიბლა, გიტარაზე დაკვრა და ძველი სიმღერების შესრულება ისწავლა, ინდიელთა სიმღერებსაც მღეროდა, საერთოდ, ხალხურმა მუსიკამ გაიტაცა. პირველად ერთი კვირის შემდეგ შევხვდი ქუჩაში, სან-ფრანცისკოში (სადაც სანტა-ბარბარადან ავტოსტოპით ჩავედი. გზად მიმავალი ავტომობილი გავაჩერე, რომელმაც ელვის სისწრაფით გაიარა სან-ფრანცისკომ-

დე დარჩენილი გზა. საჭესთან – არ დაიჯერებთ – ქერათმიანი, ლამაზი და საყვარელი გოგო იჯდა თეთრ, უბრეტელო საცურაო კოსტუმში, ფეხშიშველი, კოჭიე ოქროს სამაჯურით, ბოლო მოდელის მანქანა ჰყავდა – დარიჩინისფერ-წითელი „ლინკოლნ-მერკური“. ქალაქამდე შეუსვენებლად რომ ევლო, გოგო ბენზედრინს ითხოვდა. როცა ვუთხარი, რომ ზურგჩანთაში მართლაც მეგდო რაღაც ისეთი, რაც მას დააინტერესებდა, შესძახა: „გაგიუება შეიძლება!“). როცა ჯეფი დავინახე, თავისი სასაცილო, მთამსვლელის დიდი ნაბიჯებით მიაბორტებდა, წიგნებით, კბილის ჯაგრისებით და ათასი საჭირო წვრილმანით გატენილი ზურგჩანთა მოეკიდებინა. ეს პატარა, მსუბუქი ზურგჩანთა იყო, რომლითაც ჯეფი ქალაქში გამოდიოდა. ნამდვილი, დიდი ზურგჩანთაც ჰქონდა, რომელშიც ყველაფერი ეტეოდა – საძილე ტომარა, პონჩო, სამგზავრო კარდალა და ჭურჭელი. თხასავით წვერს ატარებდა, ოდნავ განზე გაზიდული მწვანე თვალები მის სახეს აღმოსავლურ იერს აძლევდა... აღმოსავლურს, და არა ბოჰემურს. ჯეფის არაფერი ჰქონდა საერთო ბოჰემასთან (ხელოვნების გარშემო დამშეული ტურებივით მოწრიალე უსაქმურებთან), დაკუნთული, გარუჯული, ენერგიული, გულლია, ყველასადმი მეგობრული და კეთილგანწყობილი, ქუჩაში ყველა მანანნალას ესალმებოდა, ყველა შეკითხვას დაუყოვნებლივ პასუხობდა, დიდი დაფიქრების გარეშე, მხიარულად და მახვილგონივრულად.

– რეი სმიტი სად გაიცანი? – ჰკითხა ვიღაცამ, როცა ადგილობრივი პოეტებისა და მანანნალების საყვარელ ბარ „ფლეისში“ შევედით.

– მე ჩემს ბოდჰისატვებს ყოველთვის ქუჩაში ვპოულობ! – შესძახა და ლუდი შეუკვეთა.

დაუკინყარი დამე იწყებოდა, შეიძლება ითქვას, ისტორიული. იმ საღამოს ქალაქში პოეზიის საღამო იმართებოდა. ჯეფი და სხვა პოეტები (ჯეფი ხომ პოეტიც იყო, ჩინურ და იაპონურ პოეზიას თარგმნიდა) „გალერი სიქსში“ დეკლამირებისთვის ემზადებოდნენ – საკუთარი ლექსები უნდა წაეკითხათ. ბარში „გასახურებლად“ შეიკ-

რობნენ. შეკრებილებს გადავხედე – ზოგი იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა. მივხვდი, რომ მათ შორის მხოლოდ ჯეფი არ ჰგავდა პოეტს, თუმცა კი დიდებული პოეტი იყო. შეკრებილთა შორის იყვნენ თმაგანენილი უსაქმური ინტელექტუალები ძვლისჩარჩოიანი სათვალეებით, როგორც ალვა გოლდბუკი, აიკ ო'შეის მსგავსი ნაზი, ფერმურთალი და სანდომიანი პოეტები, კეთილშობილი, უცხო იერის, რენესანსის ეპოქის გარეგნობის იტალიელები, როგორც ფრენსის დაპავია (დაპავია ახალგაზრდა პასტორს ჰგავდა), რეინოლდ კაკოუტესივით ბებერი და დაღლილი ანარქისტები, აბურძებნილი ჯაგრით თავზე და ბაფთით ყელზე, უორენ კოფლინივით უწყინარი, მსუქანი, სათვალიანი ჩუმჩუმელები და სხვა იმედის მომცემი პოეტები, სხვადასხვაგვარად ჩაცმულები, გაქექილიდაცვებიან ველვეტის პიჯაკებში, დალრეცილ ფეხსაცმელებში გამოწყობილები, ჯიბეებიდან ამოჩრილი ნიგნებით. ჯეფის კი მუშის ტანსაცმელი ეცვა, მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში შეძენილი. მთაში ლაშქრობებისას, კოცონთან ჯდომისა და სანაპიროს გასწვრივ ავტოსტოპით მგზავრობისას ჩასაცმელ ტანსაცმელს ჯეფი მეორადი საქონლისა და ნახმარი ნივთების მაღაზიებში ყიდულობდა. თავის „ქალაქურ“ პატარა ზურგჩანთაში სასაცილო მწვანე ალპური ქუდიც ედო. ქუდს მთის ძირას იხურავდა, სანამ ყიუინას დასცემდა და რამდენიმე ათასი ფუტის სიმაღლეზე ასვლას დაიწყებდა. ალპინისტის იტალიური ფეხსაცმელი ეცვა, რომლითაც დიდად ხარობდა და ამაყობდა და ტყისმცველივით დააბოტებდა ნახერხმოყრილ იატაკზე. ბრგე და ახოვანი არ ეთქმოდა, ხუთი ფუტისა და შვიდი დუიმის სიმაღლისა იქნებოდა, თუმცა ამტანი, სწრაფი და ღონიერი იყო. სახით გაყინულ მწუხარე ნიღაბს ემსგავსებოდა, რომ არა ძველი ჩინეთის ბრძენივით მშვიდად მოცინარი თვალები. მოკლე, თხასავით წვერიც სირბილეს სძენდა მისი სახის უხეშ ნაკვთებს. კბილები გაყვითლებული ჰქონდა, რადგან მის უღრან ბავშვობაში კბილების მოვლას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. თუმცა ჯეფის გაყვითლებულ კბილებს ვერავინ ამჩნევდა, როცა ის ყურებამდე იღიმოდა ან, ვიღაცის ხუმრობით გამხიარულებული, ხარხარებდა. ზოგჯერ გაყუჩდებოდა

და მწუხარე სახით გულისყურით დააჩერდებოდა იატაკს, თითქოს მზერით ფიცრებს აშალაშინებდა, შემდეგ კი ისევ გამხიარულდებოდა. ჩემს მიმართ სიმპათიით განეწყო, დიდად დააინტერესა ჩემმა მონათხოვდა წმინდა ტერზას პატარა მაწაწალაზე, ავტოსტოპითა და სატვირთო ვაგონებით მოგზაურობაზე, ტყე-ლრეში ხეტიალზე. მყისვე შემრაცხა ჭეშმარიტ ბოდჰისატვად და „დიადი ბრძენის“, იგივე „სიბრძნის დიდი ანგელოზის“ ხარისხი მომანიჭა – თქვა, რომ მე ვამშვენებ სამყაროს ჩემი გულახდილობით. გარდა ამისა, აღმოჩნდა, რომ მისი საყვარელი ბუდისტი წმინდანიც ავალოკიტეშვარა – იაპონურად თერთმეტავიანი კანონი – იყო. ჯეფი შესანიშნავად იცნობდა მაჲაიანურ, ჰინაიანურ და იაპონურ ბუდიზმს, ბირმულსაც კი, და კარგად იყო გათვითცნობიერებული მათ ყველა დეტალსა და თავისებურებაში. მაშინვე ვუთხარი, რომ ფეხებზე მკიდია მითოლოგია, ბუდიზმის ეროვნული კოლორიტები და სახელწოდებები, რომ შავიამუნის ოთხი დიადი ჭეშმარიტებიდან მხოლოდ პირველი მაინტერესებს, რომლის თანახმადაც „ცხოვრება არის ტანჯვა“... და კიდევ მესამე, რომელიც ამბობს, რომ „ტანჯვის დათრგუნვა შესაძლებელია“, თუმცა მაშინ ამის დიდად არ მჯეროდა (რადგან ჯერ არ მქონდა შესმენილი ჭეშმარიტება ლანკავატარას წერილიდან, რომელიც გვეუბნება, რომ სამყაროში არაფერი არსებობს თავად ცნობიერების გარდა, ამიტომ ყველაფერი შესაძლებელია, თუნდაც ტანჯვის დათრგუნვა). უწყინარი და ჩასუქებული უორენ კოფლინი – პოეტური სუბსტანცია, რომელიც ას ოთხმოც ფუნტს იწონიდა, სწორედ ის სათვალიანი ტიპი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, ჯეფის მეგობარი იყო. ჯეფის თქმით (ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა), კოფლინი ბევრად უფრო მაგარი იყო, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანდა.

– ვინ არის?

– ჩემი საუკეთესო მეგობარია. ჯერ კიდევ ორეგონში დავმეგობრდით, ძველი მეგობრები ვართ, საუკუნეა ერთმანეთს ვიცნობთ. თავიდან გონებაჩლუნგი გეგონება, მაგრამ ფხიზლად იყავი, ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვის, შეიძლება ჭკუდიან შეიძლო.

— რატომ?

— ალბათ დიადი იდუმალი ბოდჰისატვაა, ან ასაგნას, მაპაიანას დიდი ოსტატის, რეინკარნაცია.

— მე ვინ ვარ?

— არ ვიცი, იქნებ თხა ხარ.

— თხა?

— ან ცხვირტალახა.

— ცხვირტალახა რას ნიშნავს?

— ცხვირტალახა ნიშნავს ტალახით ცხვირმოთხუპნულს. რას იტყოდი, ვინმესთვის რომ გევითხა, ცოცხლობს თუ არა ძალში ბუდა, მას კი ყეფით ეპასუხა?

— ვიტყოდი, რომ ეს სისულელეა, ანუ ძენ-ბუდიზმი. — ჯეფი ნირნამხდარი ჩანდა. — მისმინე, ჯეფი, მე ხომ ძენ-ბუდისტი არ ვარ, მე ნამდვილი ბუდისტი ვარ, ძელმოდური მეოცნებე, გვიანი მაპაიანიზმის მშებარა ჰინაიანელი. — ასე გაგრძელდა მთელი სა-ლამო. ვამტკიცებდი, რომ ძენ-ბუდიზმი ცდილობს ჩიხში შეიყვანოს გონება და საგანთა არსის ილუზორულობა აჩვენოს, სიკეთე კი განზე რჩება.

— ეს კი სიმდაბლეა, — ვაგრძელებდი აღშფოთებული, — ძენ-ბუდიზმის მასწავლებლები ყმანვილებს ტალახში ათრევენ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ბედოვლათები ვერაფერს უგებენ მათ სულელურ თავსატეხს, სიტყვებით თამაშს.

— მხოლოდ იმიტომ, რომ მიახვედრონ: ტალახი სიტყვებზე უპირატესია, ძმა! — ამბობდა ჯეფი. მე ვერ შევძლებ, თუმცა კი შევეცდები, ზუსტად გადმოგცეთ მისი იმ პასუხების, რეპლიკებისა და მახვილგონივრული კალამბურების მთელი ბრნყინვალება, წამითაც რომ არ მაძლევდა მოდუნების საშუალებას, საბოლოოდ კი თავში — ჩემს კრისტალურ გონებაში — რაღაც ისეთი ჩამიჭედა, რამაც მაი-ძულა შემეცვალა ჩემი გეგმები.

ასე იყო თუ ისე, პოეტების აყაყანებულ რაზმს „გალერი სიქ-სში“ გავყევი, სადაც პოეზიის საღამო უნდა გამართულიყო — სა-ლამო, რომელზეც ბევრი რამ მოხდა... და თან კალიფორნიული

პოეტური რენესანსიც დაიბადა. ყველანი იქ იყვნენ. გიუჟური ლამე იყო. უცებ მოვისაზრე, რა სჭირდებოდა იქ შეკრებილ უსიცოცხლო პუბლიკას გასამხიარულებლად და ღვინის მოსატანად წავედი. სამი გალონი მოვიტანე – კალიფორნიაში ჩამოსხმული ბურგუნდიულის სამი დიდი ბოთლი. ბოთლები ხელიდან ხელში გადადიოდა და თერთმეტი საათისთვის, როცა მთვრალმა ალვა გოლდბუჟმა ხელები გაშალა და თავისი პოემის – პოემას „გოდება“ ერქვა – კითხვა, უფრო სწორად კი, წამოძახება დაიწყო, პუბლიკა თავანყვეტილი ყვიროდა, როგორც ჯაზურ ჯემ სეიშენზე: „მიდი! მიდი!“ ხოლო რეინოლდ კაკოუტესი, ფრისკოს პოეტური თავყრილობების მამამთავარი, ალფროვანებული ტიროდა და ცრემლებს იწმენდდა. ჯეფი თავის შესანიშნავ ლექსს კითხულობდა – კოიოტზე, დაბლობში მცხოვრები ჩრდილოამერიკელი ინდიელების ღმერთზე (მე ასე მომესმა), შეიძლება ვცდები, მაგრამ ის მაინც შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ლექსში ამერიკის ჩრდილო-დასავლეთში მცხოვრები ინდიელების ღმერთ კვაკიუტლზე და რალაც ასეთებზე წამდვილად იყო ნათქვამი. „შეგეცით! – ჩაილილინა კოიოტმა და გაძუნძულდა!“ – უკითხავდა ჯეფი დახვეწილ საზოგადოებას. პუბლიკა ბეჭნიერებისგან ღმურდა, რა სინატიფეა, „შეგეცით“ უხამსი სიტყვაა, მაგრამ რა სუფთად და ამაღლებულად გამოითქმის, ლექსში წაზი და ლირიული სტრიქონებიც იყო, მაგალითად დათვებზე, რომლებიც ტყეში კენკრას ჭამენ – იგრძნობოდა ცხოველებისადმი სიყვარული... ხოლო ღრმა და იდუმალ სტრიქონებში მონღლოლეთის გზაზე მიმავალ ხარებზე, აღმოსავლური ლიტერატურის ღრმა ცოდნა ჩანდა, იმდენად ღრმა, რომ ჩუან ცუნის გავლენაც კი იგრძნობოდა – დიდი ჩინელი ბერის, რომელმაც ჩინეთი, ტიბეტი, ლანჩუოუ, კაშგარი და მონღლოლეთი მოიარა ჯოხით ხელში... ჯეფი კითხვას აგრძელებდა. შემდეგ სტრიქონებში კოიოტმა ტკბილეული მოიტანა. ეს სასაცილო იყო, მაგრამ მდაბიურად უდერდა. ხოლო სტრიქონებში იმის შესახებ, როგორ არიან გარეუბნის მცხოვრებლები გამომწყვდეული ელექტროხერხით მოქრილი საბრალო ხეებისგან (ჯეფი ხომ ოდესა-დაც ტყისმცველი იყო) ნაშენ სასტუმრო ოთახებში, ჯეფიმ თავისი

ანარქისტული შეხედულება გამოავლინა. ის თვლიდა, რომ ამერიკელებმა ვერ შეიგრძნეს სიცოცხლის ხიბლი. ჯეფის უხეში, მულერი, მე ვიტყოდი, მტკიცე და გაბედული ხმა ჰქონდა, როგორც ძველი დროის ამერიკელ გმირებს და ორატორებს. იყო მასში რაღაც ისეთი, რაც მხიბლავდა და რაც არ ჰქონდათ სხვა პოეტებს – გულახდილობა, ძალა და იმედი. ისინი ან ზედმეტად დახვეწილი ესთეტები იყვნენ, ან ზედმეტად ისტერიულები და ცინიკურები იმისთვის, რომ რამის იმედი ჰქონოდათ, ან ზედმეტად აბსტრაქტულ-კამერულები; ზოგი პოლიტიკაზე გიუდებოდა, ზოგი კი, კოფლინის მსაგავსად, იმდენად რთული იყო, რომ ვერაფერს გაუგებდი (ჩასუქებული კოფლინი რაღაც „განუმარტავ პროცესებზე“ ლაპარაკობდა, მაგრამ როცა თქვა, რომ ზემთაგონება – ყოველი ადამიანის პირადი ბედია, მასში ისეთივე ძლიერი ბუდისტური, იდეალისტური განცდა ამოვიკითხე, როგორიც ჯეფიში. სწორედ ეს განცდა აერთიანებდა უწყინარ კოფლინსა და ჯეფის ჯერ კიდევ კოლეჯში სწავლის დროიდან ისევე, როგორც მე და ალვას აღმოსავლეთ სანაპიროზე, და კიდევ სხვებს – ნაკლებად შეშლილებსა და აპოკალიპტურებს, მაგრამ არც უფრო გულმოწყალებსა და გულისხმიერებს).

გალერეაში ხალხმრავლობა იყო. პუბლიკა ცდილობდა, არა-ფერი გამორჩენოდა ამ არნახული პოეტური სანახაობიდან. მეც იქვე დავბორიალებდი, სცენას არ ვუკურებდი და შეკრებილებს სასმელს ვთავაზობდი – პირდაპირ ბოთლიდან. დროდადრო ჩემს ადგილზე ვბრუნდებოდი, სცენის მარჯვენა მხარეს, გამომსვლელებს ვამხნევებდი, კვერს ვუკრავდი, ზოგჯერ რამეს შევძახებდი და ვრცელ კომენტარსაც ნამოვისროდი, რაც ჩემგან არავის მოუთხოვია, მაგრამ საერთო მხიარულებაში არც არავის აუკრძალავს. შესანიშნავი საღამო გამოვიდა. ფაქტიზი დაპავია სიფრიფანა, ნახევრადგამჭვირვალე ქალალდის ფურცლებს აშრიალებდა, გრძელი თეთრი თითებით ასწორებდა, თავისი გარდაცვლილი მეგობრის, ალტმანის ლექსებს კითხულობდა. ალტმანმა ჩიუაუაში ზედმეტი პეიოტი შეჭამა (ან იქნებ პოლიომიელიტისგან გარდაიცვალა, ორში ერთი – პეიოტი ან პოლიომიელიტი). დაპავიას თავისი არაფერი

წაუკითხავს – ესეც ერთგვარი ამაღლელვებელი ელეგია იყო, დაღუპული ახალგაზრდა პოეტის მოსაგონარი. ამაზე მეშვიდე თავის სერვანტესასაც კი წამოსცვივდებოდა ცრემლები. თან ისეთი ნაზი, დაყენებული ინგლისური ხმით კითხულობდა, რომ შინაგანი ხარხარისგან მეც წამომცვივდა ცრემლები. მაგრამ შემდეგ ფრენსისი ახლოს გავიცანი და მომეწონა.

როზი ბიუკანანიც იქ იყო, გამხდარი, სიმპათიური, მოკლედ შეჭრილი წითელი თმით. კარგი გოგო იყო, სანაპიროზე ყველას იცნობდა, ყველასთან მეგობრობდა, მხატვრებისთვის პოზირებდა და თვითონაც წერდა რაღაცებს. იმ საღამოს კი აღგზნებისგან სისხლი უდღებდა – ჩემს ძმაკაც კოდისთან რომანი ჰქონდა გაჩაღებული.

– ეი, როზი, როგორ ხარ? – დავუძახე მე.

როზიმ ბოთლიდან დიდი ყლუპი მოსვა და თვალები შემომანათა. კოდი უკან ედგა და ორივე ხელი მისთვის წელზე მოეხვია. გამოსვლებს შორის რეინოლდ კაკოუტესი, ძველ, გაქექილ პიჯაპში გამოწყობილი, ყელზე ბაფთით, გამოხტებოდა სცენაზე და მოკლე, მხიარულ სიტყვას წარმოთქვამდა, სასაცილო, ყალბი ხმით წარუდგენდა პუბლიკას მომდევნო გამოსვლელ პოეტს. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, თორმეტის ნახევრისთვის, როცა ყველა ლექსი წაკითხული იყო და გალერეის აღგზნებული, აღელვებული პუბლიკა მსჯელობდა, რა მოხდა იმ საღამოს და საით მიდის ამერიკული პოეზია, აცრემლებული კაკოუტესი ცხვირსახოცით იწმენდდა თვალებს. შემდეგ ყველა ერთად – კაკოუტესიც, მეც და პოეტებიც – რამდენიმე მანქანაში ჩავეტენეთ და ჩაინათაუნისკენ დავგაზეთ. შუალამისას ზღაპრული ნადიმი გავმართეთ სან-ფრანცისკოს ერთ-ერთ ყველაზე მხიარულ რესტორანში, ჩხირებით ვჭამდით და ხმამაღლა ვსაუბრობდით. აღმოჩნდა, რომ ჯეფის საყვარელი რესტორანი ყოფილა – „ნამ-იუენ“. ჯეფიმ ამიხსნა, რა უნდა შემეკვეთა და როგორ უნდა მეჭამა ჩხირებით, მომიყვა ანეკდოტები ძენით შეპყრობილ აღმოსავლელ შეშლილებზე. ბოლოს კი იმდენად გავმხიარულდი (მაგიდაზე ბოთლით ღვინო გვედგა), რომ სამზარეულოს კართან მივედი და ბებერ მზარეულს ვკითხე: